ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრასა წვიმამ აატალახა

რუსთავის მიდამოებში გაიმართა მოტოროსი სპორტის ტექნიკურ სახეობებში V რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, სამტრედიის, მახარაძის, ახალციხის, რუსთავის, ფოთის, თელავის, ბოლნისის, გარდაბნის ავტო-მოტო- და სპორტტექნიკური კლუბები. მოზრდილებს სამი ცდით 45, ხოლო ჭაბუკებს 23 კმ უნდა გაევლოთ. მესამე ცდის დროს ტრასა კოკისპერულმა წვიმამ აატალახა.

გუნდების შემადგენლობაში 3-3 ვაჟი, თითო ქალი და ჭაბუკი შედიოდა.

ავტო-მოტოკლუბებს შორის სოხუმელებმა დაძაბულ ბრძოლაში აჯობეს თბილისელებს, ხოლო ბათუმელები III ადგილზე გავიდნენ. სპორტულ-ტექნიკური კლუბების ტურნირი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა. II ადგილზე არიან ახალციხის, III — სამტრედიის წარმომადგენლები.

პირად შეჯიბრებაში სპორტსმენები ძალას ცდიდნენ როგორც სპორტული, ისე საგზაო მანქანებით. 350-ანი სპორტული მოტოციკლებით შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ვ. მანუკიანი, ვ. კოტლიაროვი (ორივე — თბილისი), ო. გროსმანი (სოხუმი); საგზაო მანქანებით რბოლაში: გ. მეტრეველი (ბოლნისი), პ. კალჩენკო (გარდაბანი), რ. ლაკია (ფოთი); 175 კბ სმ მოცულობის მანქანებით შეჯიბრებაში: ო. ტიტვინიძე (რუსთავი), მ. მიქაელიანი (სოხუმი), ა. გულიდოვი (თელავი).

საგზაო მანქანებით ტურნირში პირველი იყო ვ. მერკულოვი (გარდაბანი), მეორე — ფ. მამედოვი (ბოლნისი). ამავე კლასის მანქანებით ჭაბუკთა შეჯიბრება მოიგეს: სპორტული მანქანებით — გ. გალუსტაშვილმა (თბილისი), საგზაო მანქანებით — ი. ელიზაროვმა (გარდაბანი).

ქალთა ასპარეზობის პროგრამაში მხოლოდ 175-ანებით რბოლა იყო. ყველას აჯობა ლ. დრაგამ (სამტრედია).

ო. კიკნაველიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

გ. მგალობლიშვილის ფოტო.

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 135 (4129)

1970 წ. 12 ივლისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



კარტინგები გამოცდაზე

სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური ტურნირი მიკროავტომობილებით თბილისის ზღვის მიდამოებში ჩატარდა. სტარტზე გამოვიდნენ დოსაფის ავტო-მოტოკლუბებისა და სპორტტექნიკური კლუბების გუნდები. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ფოთის, მახარაძის, რუსთავის, თელავისა და გარდაბნის სპორტსმენები. მოზრდილებს 10, ხოლო ჭაბუკებს 7 წრე უნდა შემოევლოთ.

ავტო-მოტოკლუბების შეჯიბრებაში ყველაზე უკეთ თბილისისა და რუსთაკის კოლექტივები გამოვიდნენ. პირველ ჯგუფში თბილისელებმა იმარჯვეს, მეორეში — რუსთაველებმა. პირველ ჯგუფში მომდევნო ადგილებზე არიან სოხუმისა და ბათუმის, მეორეში — მახარაძისა და თელავის კოლექტივები. სპორტტექნიკური კლუბების პირველობა გარდაბნელებმა მოიგეს.

„175-ანებით“ პირად პირველობაში იმარჯვა თბილისელმა სპორტის ოსტატმა რ. ზუკაკიშვილმა. მომდევნო ადგილებზეც მისი თანაგუნდელები ლ. ლონტი და ვ. ციბიკაძე გავიდნენ.

„125-ანებით“ შეჯიბრებაში ჩემპიონი გახდა სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრი ი. აკოფოვი (თბილისი), II ადგილზეა ა. გოდაშვილი (რუსთავი), III — პ. კალჩენკო (გარდაბანი).

ამავე კუბატურის კარტინგებით ასპარეზობაში იმარჯვა დოსაფის ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელმა დ. ბერგვაძემ (თბილისი). მას ოდნავ ჩამორჩა რ. კარიბოვი (რუსთავი). მესამე იყო გარდაბნელი ი. ელიზაროვი.

ყველაზე მცირე (50) კუბატურის მანქანებით ასპარეზობა რ. ხიდაშელის (თბილისი) გამარჯვებით დამთავრდა.

ჯ. ომანიძე.



სურათზე: აკოფოვი სტარტზე.

ა. საკოვის ფოტო.

ერთ წამში... ოქრო

ბორკი, 10 ივლისი. ვ. კლემინამ (ცსკა) მხოლოდ ერთი წამით აჯობა 70 კილომეტრზე ჯგუფური საგზაოტაკეცილო რბოლის მონაწილეებს და დღეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. გამარჯვებულის დროა 1:55.38. მეორე იყო დინამოელი ს. ჯარცანსი, III-V ადგილები ერთნაირი შედეგით (1:55.39) გაიყვეს ბ. ცაუნემ („დაუგავა“), ა. ჩერნიხმა („ზენიტი“) და რ. ობოდოვსკიამ („ავანგარდი“), ეს ფოტოფინიშმა განსაზღვრა.

რბოლის პირობები მეტად რთული იყო: საშინლად აცხუნებდა მზე, დროდადრო ძლიერი გვერდითი ქარი უბერავდა. საკმარისია ითქვას, რომ სტარტი აიღო 80 მრბოლელმა ქალმა, ხოლო ფინიშს ნახევარზე ნაკლებმა მიაღწია.

გაიმართა, ავრეთვე, ვაჟთა გუნდური რბოლა 100 კილომეტრზე. გაიმარჯვა სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა (ვ. სოკოლოვი, ვ. ბარდა, ვ. მიხაილოვი და ვ. სუხორუჩენკოვი) — 2:12.58. II ადგილზეა სსრ კავშირის მეორე ნაკრები — 2:13.06, III ადგილზე გავიდნენ სპარტაკელები — 2:13.39.

საბჭოთა იუნიორები — ფინალში

როტერდამში გრძელდება იუნიორ წყალბურთელთა I ევროპული ჩემპიონატი. უკვე დამთავრდა შეხვედრები ქვეჯგუფებში — გაირკვა ფინალისტთა ვინაობა. ფინალში გასასვლელად საბჭოთა გუნდისთვის საკმარისი იყო ჰოლანდიის ნაკრებთან მატჩის ფრედ დამთავრება. ეს ასეც მოხდა: სსრ კავშირის იუნიორები 1 ქულით გავიდნენ ფინალში.

თითო ქულა აქვთ უნგრეთისა და გფრ-ის, ხოლო 2 — ესპანეთის ნაკრებს, რომელმაც ბოლო მატჩი მოუგო იტალიის გუნდს — 2:1.

ტრადიციად აქციეს

საავეჯო კომბინატ „განთიადის“ მუშა-მოსამსახურეებს ტურიზმი უყვართ. ისინი სისტემატურად აწყობენ ექსკურსიებსა და ლაშქრობებს თბილისის შემოგარენში, მონაწილეობენ შეჯიბრებებში და ხშირად საპრიზო ადგილებზეც გადიან. კომბინატის ტურიზმის სექციას საქართველოს პროფსაბჭოს, აგრეთვე, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს მიერ გამოცხადებულ დათვალიერება-კონკურს ში II ადგილი და პრემია მიეკუთვნა.

ყოველივე ეს ქარხნის დირექციის (დირექტორი პ. დუნდუა), პროფკავშირული ორგანიზაციისა (საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე შ. მაჩაიძე) და ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს (თავმჯდომარე ა. დიღმელაშვილი, ინსტრუქტორ-მეთოდისტი ა. ტიმოფეევი) ყურადღების შედეგია.

ამას წინათ თბილისის საქალაქო ტურისტულმა კლუბმა კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრებისთვის ორდღიანი ტურისტული შეკრება-შეჯიბრება მოაწყო მცხეთაში.

ღონისძიებაში 150 კაცი მონაწილეობდა. პირველ დღეს, დილით, მონაწილენი ავტომუსებით გაემგზავრნენ შეკრების ადგილისკენ, სადაც მოაწყვეს კარვების ბანაკი. დღისით გაიმართა შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშში, ფრენბურთში, ფეხბურთში, მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. საღამოს გაჩაღდა ტრადიციული კოცონი და გაიმართა კომბინატის მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი.

მეორე დღეს მოეწყო შეჯიბრება ტურისტულ ესტაფეტაში, რომელშიც კომბინატის ათივე საამქროს გუნდები მონაწილეობდნენ. ყველას აჯობეს № 1 ამქრები საამქროს წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდნენ ხის ბურბუშელის ფილების საამქროს წარმომადგენლები, ხოლო III — სამანქანო-დამამზადებელი საამქროს სპორტსმენები.

ლაშქრობის დამთავრების შემდეგ კომბინატის კლუბში მოეწყო გამარჯვებულთა დაჯილდოება. მათ ჯილდოები გადასცა კომბინატის დირექტორმა პ. დუნდუამ. დასასრულს გაიმართა კომბინატის კლუბთან არსებული საესტრადო ორკესტრის კონცერტი.

ქარხნის დირექციის, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული კოლექტივების გადაწყვეტილებით, ამიერიდან მსგავსი ტურისტული შეკრება-შეჯიბრებები ტრადიციად იქცევა.

ო. ბოგოხიძე,
თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი... მაყურებლებში

ედმონტონი, 11 ივლისი. კანადის ამ ქალაქში გრძელდება თავისუფალი სტილის მოჭიდაველთა მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა ათეულიდან ტურნირს 9 მოჭიდავე განაგრძობს. სრულიად მოულოდნელად მაყურებელთა რიგებში გადაინაცვლა ქვეყნის ნაკრების ყველაზე გამოცდილმა წევრმა, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ა. ალიევმა. მან ზედიზედ ორი ბრძოლა წააგო ქულებით.

დამაჯერებლად მიიწევენ უმაღლესი ტიტულებისკენ სხვა საბჭოთა მოჭიდავენი, რომელთა შორისაც არიან თბილისელები — ნაკრების დებიუტანტი გ. ყვარელაშვილი და გამოცდილი ოსტატი ნ. ხოხაშვილი.

ოქროს მედლების მოპოვების კარგი შანსები აქვთ მინსკელ ა. მედვედს (თუ მან ამჯერადაც მოიგო ტურნირი, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი გახდება), კიეველ ვ. გულიუტკინსა და მახაჩყალელ ნ. ნასრულაევს. ამ ტროიოს ჯერჯერობით მხოლოდ წმინდა მოგება აქვს.



◆ **კიევი, 11 ივლისი.** აკადემიურ ნიჩბოსნობაში სსრ კავშირის 12 თასი ელის თავის მფლობელებს, რომლებიც კვირას აქ გამოვლინდებიან. დნეპრის ნაპირზე თავი მოიყარა საბჭოთა ქვეყნის სანიჩბოსნო სპორტის მთელმა ელიტამ, რათა 12 კლასის ნავებში გაითამაშოს საპატიო ნადავლი — 5 პრიზი ქალთა შორის, 7 — ვაჟებში. სსრ კავშირის თასის წლევანდელმა გათამაშებამ, რომელიც რიგით მესამეა, 760 ოსტატს მოუყარა თავი. ეს შეჯიბრება თავისებური შესარჩევი ტურნირია საკავშირო ჩემპიონატის წინ, რომელიც აგვისტოში გაიმართება მოსკოვში. სპორტსმენებს ყველაფერი ახარებთ: საუცხოო ამინდიც, მშვენივრად მოწყობილი ოლიმპიური დისტანციებიც, რომლებიც არაერთხელ ქცეულან საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებათა ხარბიელად.

◆ **ტაგანროგი, 11 ივლისი.** აქ გაიმართა აზოვის პირველი რეგატა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქ ნოვის, დონის როსტოვის, ბერდიანსკისა და ტაგანროგის აფროსნები. სპორტის ეს სახეობა განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს „აზოვსტალის“, „ტიაჟმაშისა“ და ქიმიურ ქარხნებში. აფროსანთა 300-კაციან რაზმში გამოირჩეოდნენ სპორტის ოსტატები ა. კონსტანსკი, ი. ოხომუში, ა. ჩერედნიჩენკო და რ. სახნო, რომლებიც სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები გახდნენ.



სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაზე — ღირსეული შეხვედრა!

ყველა ქვაყოფილი დარჩა

მოცურავეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელიც ქუთაისის „განთიადის“ აუზში სამ დღეს მიმდინარეობდა, მხოლოდ რეკორდების სიმრავლით როდი იყო აღსანიშნავი. მოასპარეზეებმა 14 სპორტის ოსტატის, 39 სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და 75 პირველი თანრიგის შედეგი მოიპოვეს. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ბევრმა პირველად აჩვენა მაღალი თანრიგის შედეგები, ხოლო უფრო მეტმა პირადი რეკორდები გააუმჯობესა, ცხადი გახდება, რომ თბილისის, აჭარის, ქუთაისის, ჭიათურის სპორტსმენები ჩემპიონატისთვის განსაკუთრებით კარგად მომზადებულან.

რამ განაპირობა ბოლო წლების წარუმატებლობის შემდეგ ასეთი აღმავლობა? საქართველოს ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის უკეთ მომზადებისთვის დროულად დასახა ღონისძიებანი: ჯადახალისდა ნაკრების ხელმძღვანელობა, მეტი პრაქტიკული დამმარება აღმოუჩინეს პერიფერიებს, მუშობაც უფრო ინტენსიური გახდა. რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილენი რეკორდების დამყარების შემთხვევაში გუნდებისთვის დამატებითი ქულების გარკვეულ რაოდენობას იღებდნენ, წახალისებას კი, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს. მეტი ყურადღება ექცეოდა სპორტსმენთა წვრთნაში მოწინავე მეთოდების გამოყენებას. უპერსპექტივო მოცურავეების ადგილი ნიჭიერებმა დაიკავეს.

უდავოა, წარმატებას ბაზების რიცხვის ზრდამაც შეუწყო ხელი. ჭიათურაში აუზი ორიოდე წელია მუშაობს (თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ: ხარვეზებით), მაგრამ ე. ნებიერიძე, ნ. გაჩეჩილაძე, ბ. გრიგორიევი, შ. კაციტაძე უკვე ტოლს არ უდებენ თბილისელ და ბათუმელ მოცურავეებს.

საგრძნობია ბათუმელ მოცურავეთა წინსვლაც. ამას თუნდაც ის ადასტურებს, რომ მწვრთნელების გ. კალანდაძის, ს. შაგოვას, ნ. რიხტოვსკაიას აღსაზრდელებმა აჭარის 3, საქართველოს 5, სსრ კავშირის 1 რეკორდი დაამყარეს და ესტაფეტებში 4 რესპუბლიკური რეკორდის თანაავტორები გახდნენ.

რაც შეეხებათ მასპინძლებს, მათგან აღსანიშნავი იყო მხოლოდ ი. ზოტოვა, რომელმაც სამი გამარჯვება (ორი — საქართველოს რეკორდით) და ერთი II ადგილი მოიპოვა. მაგრამ ქუთაისელებს აქამდე აუზი არ ჰქონდათ და აღბათ უახლოეს 2-3 წელიწადში ამ ქალაქის სხვა მოცურავეებსაც ვიხილავთ რესპუბლიკის ჩემპიონატების პრიზიორთა შორის.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ჩემპიონატში აფხაზეთის გუნდის გამოსვლა. როგორც ჩანს, აქ ცურვის განვითარებისთვის სათანადოდ აღარ ზრუნავენ. გუნდი თითქმის მთლიანად გაგრის რაიონის ბავშვებით იყო დაკომპლექტებული. ეტყობა, ბიჭვინთის სანატორიუმებთან აუზის აგების შემდეგ აფხაზეთის ფიზკულტურის კომიტეტისა და ცურვის ფედერაციის მუშაკებმა სპორტული ცურვის განვითარებისთვის ზრუნვა მთლიანად გაგრის ფიზკულტურის კომიტეტს მიანდეს.

მნიშვნელოვანი წვლილის მიუხედავად, მწვრთნელებისა და გუნდების წარმომადგენლების საქმიანობაში, სპორტსმენთა ერთი ნაწილის მომზადებაში ნაკლიც საგრძნობი იყო. ზოგიერთი გუნდის წარმომადგენელი შეეცადა ერთი სპორტსმენი 7-9 დისტანციაზე გამოეყვანა და შედეგებს აღარ დაგდევდათ, ოღონდ მოცურავეს გუნდისთვის ჩათვლა მიეცა. მაგალითად, აჭარის გუნდის წევრი, 13 წლის ა. დმიტრაევი განცხადით სტარტზე 9-ჯერ უნდა გამოსულიყო, ამ ასაკის ბავშვისთვის კი ეს დიდი დატვირთვაა. შეჯიბრების ორგანიზატორები სწორად მოიქცნენ, როცა ეს და სხვა ამგვარი ფაქტები არ დაუშვეს.

აშკარად საგრძნობი იყო მონაწილეთა სიმცირე ქალთა შეჯიბრებაში (18 წლისა და უფროსი ასაკის სპორტსმენები): 200 მეტრზე ბატერფლაიზე მარტო თბილისის ბურევესტნიკელი რ. გოჩიტაშვილი ასპარეზობდა (3.03,9), 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — კი თბილისის დინამოელი ლ. მარღანია (2.51,4). მთელ რიგ სახეობებში (თავისუფალი სტილით 200, 400, 800 მეტრზე, 100 და 200 მეტრზე გულაღმა, 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში) ქალები საერთოდ არ გამოსულან. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში I თანრიგის ნორმატივი ვერც ერთმა ქალმა ვერ შეასრულა. II თანრიგზე უკეთესი შედეგი არავის უჩვენებია, აგრეთვე, გოგონათა თავისუფალი სტილით 400 და 800 მეტრზე, გულაღმა 100 მეტრზე, 200 და 400 მ კომპლექსურ ცურვაში, ქალიშვილების 100 და 200 მეტრზე ბრასით, ბიჭების თავისუფალი სტილით 400, 1500, ბრასით 100 და 200, გულაღმა 100 მეტრზე, 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, ჭაბუკების 100 და 200 მეტრზე ბრასით, 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გამარჯვებულთა შორისაც. 200 მეტრზე ბატერფლაით მხოლოდ აჭარის ჭაბუკები გ. აბრამიანი („განთიადი“, 2.42,9) და ა. ებრალიძე („სპარტაკი“, 2.43,8) ასპარეზობდნენ.

ჩემპიონატმა მწვრთნელებს ბევრი ამოცანა დაუსახა, რომელთა გადაუჭრელადაც საკავშირო სარბიელზე დაკარგულ პოზიციებს მთლიანად ვერ დავიბრუნებთ.

აუზის დირექციამ, ტურნირის მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი დ. ხორავა) თავი არ დაზოგეს ჩემპიონატის მაღალ დონეზე გამართვისთვის. ქალაქის ორგანიზაციებმა რამდენიმე პრიზი დააწესეს.

ერთი სიტყვით, ჩემპიონატის ქუთაისში გამართვით ყველა კმაყოფილი დარჩა.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

* * *



სურათზე: ბათუმის მე-6 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი თინათინ დოლიძე, რომელმაც 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა და ჩემპიონობაც მოიპოვა.

ავტორის ფოტო.

ასეთია ჩვენი მოსაგრება

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მაღალი, სტაბილური მაჩვენებლების მისაღწევად საჭიროა რეგულარული წვრთნა როგორც ძირითად, ისე დამმმარე სახეობაში. ეს არ არის ჩვენი ორიგინალური დასკვნა. ამ მეთოდს, რომელსაც საფუძვლად უდევს მეცნიერულად დასაბუთებული თეორიები, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და მათ შორის ჩვენშიც წარმატებით იყენებენ.

მაგრამ რომელი დამხმარე სახეობაა უფრო მისაღები? რომელი მათგანი უფრო ზრდის შედეგს? დაბოლოს, სპორტის რომელ სახეობას, რომელი დამხმარე სახეობა ავსებს უფრო რაციონალურად და ეფექტურად? ზოგან ამ საკითხზეც არსებობს ზუსტი და ამომწურავი პასუხი, თეორიულად დასაბუთებული და პრაქტიკულად შემოწმებული. მაგრამ ზოგან, კერძოდ კი ჭიდაობაში, ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი აზრი, ცხოვრებისეული სიბრძნით განმტკიცებული ერთიანი შეხედულება.

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ ჭიდაობაში სპორტის დამხმარე სახეობებად იყენებენ ფეხბურთს, კალათბურთს, ძალოსნობას, ტანვარჯიშს, მძლეოსნურ ვარჯიშებს და ა. შ. მწვრთნელი ჩამოთვლილ სახეობათა შორის რომელიმეზე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას და მას მომეცადინეთა ყოველდღიურ წვრთნაში რთავს. არჩევანი, როგორც წესი, წმინდა სუბიექტურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან, ვიმეორებ, ერთიანი აზრი ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ არსებობს.

სწორედ ამ მდგომარეობამ გაგვიღვიძა სურვილი უფრო გულდასმით შეგვეხედა და დაგვემუშავებინა ეს, ჩვენი აზრით, არც ისე უმნიშვნელო საკითხი.

ხანგრძლივი პედაგოგიური დაკვირვებისა და ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ მოჭიდავეთა ვარჯიშის თავისებური მეთოდი, რომელიც არ არღვევს წვრთნის ძირითად პრინციპებს. სპორტსმენების გარკვეული ენერგია გამოყენებული უნდა იქნას სპორტის ისეთ დამხმარე სახეობებში, რომლებიც უკეთეს შედეგებს მოგვცემენ.

მრავალი წლის შრომამ და დაკვირვებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ, თუ სპორტის დამხმარე სახეობებში ვარჯიშს (ფეხბურთი, კალათბურთი, ძალოსნობა, ცურვა და სხვ.) სხვა სახის ჭიდაობით შევცვლით, ეფექტი გაცილებით უფრო დიდი იქნება. მაგალითად, კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა წვრთნის დროს დამხმარე სახეობებად უნდა გამოიყენონ თავისუფალი ჭიდაობა, სამბო და ქართული ჭიდაობა, და პირუკუ. ეს ამავე დროს დიდ ეფექტს იძლევა სუნთქვის გამომუშავებაშიც.

რა უდევს საფუძვლად ჩვენს მიერ დამუშავებულ მეთოდს? უპირველეს ყოვლისა ის, რომ სხვადასხვა სახის ჭიდაობაში გაწვრთნილ სპორტსმენს უფრო მდიდარი მოძრაობები აქვს. ამავე დროს, უფრო ფართოვდება მისი ილეთების არსენალი, ბრძოლის დროს იგი ადვილად პოულობს გამოსავალს ამა თუ იმ მოულოდნელი სიტუაციიდან.

ცნობილია, რომ ერთი ნერვული უჯრედი მეორესთან დაკავშირებულია უნატიფესი წარმოქმნის საშუალებით, ე. ი. სინაფსით. სინაფსი ნერვული ბოჭკოს დაბოლოებაა, რომელიც მეორე ნერვულ უჯრედს ეხება. თუ კლასიკური სტილის ათლეტი გაწვრთნილია სხვადასხვა სახეობის ჭიდაობაში, მას ამ სინაფსების საშუალებით შესაძლებლობა ეძლევა გამოიყენოს „უცხო ილეთი“, რომელიც უდავოდ წარმატებას მოუტანს.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრია უმაღლესი კლასის სამბისტი და ძიუდოისტი, რომლებიც წარმატებით ებრძვიან დიდ სარბიელზე. მათ შორის ვერავის დავასახელებთ ისეთს, რომლის ოსტატობასაც საფუძვლად არ ედოს ქართული ჭიდაობა, მისი მდიდარი და მრავალფეროვანი ილეთები. ნუ დაგავიწყდებათ ისიც, რომ სწორედ ქართული ჭიდაობის ზედმიწევნით ცოდნამ გაუხსნა გზა საერთაშორისო სარბიელისკენ ვ. ბალავაძესა და ა. მეკოკეშვილს, მ. ცალქალამანიძესა და ე. ქარქუსაშვილს, ბევრ სხვა უმაღლესი კლასის ოსტატს.

იგივე შეიძლება ითქვას ვეტერან კლასიკოსებზე. განა ჭიდაობის ორიქე სახეობაში წარმატება არ ედო საფუძვლად გ. კარტოზიას, დ. ცომაკურიძის, ვ. ილურიძის, ვ. მაჩკალიანისა და სხვათა სახელოვან გამარჯვებებს?

საკითხის დასმის წესით

ცნობილია, რომ კლასიკური სტილის მოჭიდავეს ქვედაზე უფრო ზედა კიდურები აქვს განვითარებული, თავისუფალი სტილის მოჭიდავეს „კლასიკოსთან“ შედარებით — ქვედა. სამბოში მომეცადინეს ორივეზე უკეთ აქვს განვითარებული ხელის მტევნები და მაჯები. ქართული ჭიდაობა თავისი ბუნებით უფრო სწრაფია, ვიდრე სხვა დანარჩენი სახის ჭიდაობა. ეს მეტად ყურადსაღები ფაქტია, ვინაიდან სხვადასხვა ჭიდაობა უფრო გონივრულად და ეფექტურად ავსებს ერთმანეთის სარგებს. დასკვნაც ცხადია — ის, ვინც დამმმარე საშუალებებად სხვადასხვა სახის ჭიდაობას იყენებს. უფრო სრულყოფილადაა დაუფლებული ყველა ილეთს. მაშასადამე, მისი ტექნიკური არსენალიც უფრო მდიდარია და მყარი.

კიდევ ერთი დეტალი: თუ კლასიკური სტილის მოჭიდავე დამმმარე სახეობად თავისუფალ ჭიდაობას იყენებს, მას ვარჯიშზე სპარინგ-პარტნიორი აუცილებლად თავისუფალი სტილის მოჭიდავე უნდა ჰყავდეს, თუ სამბოს იყენებს — სამბისტი და ა. შ.

წერილის დასასრულს ერთი რამ უნდა აღვნიშნო: ისე ნუ გაგიგებთ, თითქოს წვრთნაში საერთოდ უარვყოფთ ფიზიკურ მომზადებას. ის ყოველი გაკვეთილის მოსამზადებელ ნაწილში უნდა სრულდებოდეს. მაგრამ სპორტსმენთა ტექნიკური ოსტატობის ზრდას სწორედ ჩვენი შემოთავაზებული მეთოდი შეუწყობს ხელს. ჩვენმა პრაქტიკულმა საქმიანობამ საკუთარი დაგვარწმუნა ამაში.

ვ. მაისურაძე,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

თელავი კარგი მასპინძელია

საბჭოთა ძალოსნების წარმატებები საერთაშორისო სარბიელზე კარგადაა ცნობილი და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ქართველი ათლეტების წვლილი ამ წარმატებებში ამ ბოლო ხანს მხოლოდ ერთი სახელით — დ. შანიძით ამოიწურება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენს რესპუბლიკაში ნიჭიერ ძალოსანთა ნაკლებობა იგრძნობოდეს. საკავშირო სარბიელზე წარმატებით ასპარეზობენ მძიმეწონოსანი ა. ჯეჯელავა, სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი ვ. ლოტკანიძე (მუბუქი წონა) და სხვ.

ახლა ყოველი შეჯიბრება, რომელიც თავს უყრის საუკეთესო ძალოსნებს, სამშადისს წარმოადგენს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის. ამას წინათ უკვე მეოთხედ მოეწყო პირველი ქართველი მსოფლიო რეკორდსმენის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, აწ განსვენებული გ. ჩიკვაიძის თასის ტრადიციული გათამაშება, რომლის მასპინძელიც, ასევე ტრადიციულად, მისი მშობლიური ქალაქი თელავი გახლდათ.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ ის სასიამოვნო ფაქტი, რომ მონაწილეთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა: ფიცარნაგზე გამოვიდა „განთიადის“, „დინამოს“, „სპარტაკის“, „კოლმეურნის“, „ბურევესტნიკისა“ და „ლოკომოტივის“ 66 ძალოსანი. ზემოდასახელებულ სპორტსმენთა გარდა მონაწილეთა შორის იყვნენ ცნობილი ძალოსნები ა. სურმანიძე, რ. ტარკილი, გ. მიმინოშვილი და სხვ. ნაჩვენები იქნა 4 რესპუბლიკური რეკორდი, მათგან ერთი — იუნიორთათვის, რომლის ავტორია ი. ლოგუნოვი („კოლმეურნე“). უმჩატეს წონაში მან 230 კგ დააგროვა. დანარჩენი 3 რეკორდის ავტორები არიან რუსთაველი ვ. ლობჟანიძე, რომელიც უკონკურსოდ ასპარეზობდა და მსუბუქ წონაში რეკორდები მოუხსნა დ. შანიძეს: აჭიმა 127,5 კგ და აჭკრა 156 კგ. აჭიმვაში ახალი რესპუბლიკური რეკორდის ავტორი გახდა ა. ჯეჯელავა („კოლმეურნე“) — 175 კგ.

უმჩატეს და მჩატე წონებში თითქმის უკონკურენციოდ გაიმარჯვეს განთიადელებმა ს. თათევოსიანმა და მ. პართენაძემ, რომლებმაც სამჭიდში შესაბამისად 247,5 და 295 კგ აჩვენეს.

სომბათხეის ევროპულ ფიცარნაგზე გამოუსვლელობამ დ. შანიძეს გარკვეული ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა. ამის მიუხედავად, იგი გუნდის ინტერესებისთვის მაინც გამოვიდა თელავის ფიცარნაგზე, თუმცა თავისთვის უნეირო შედეგი აჩვენა (360 კგ). ეს სავსებით გასაგებია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შანიძეს, ფაქტიურად, ეულად მოუწია ბრძოლა. გამარჯვებულს 15 კგ-ით ჩამორჩა ა. სურმანიძე. ორივე ათლეტმა ამაოდ სცადა ატაცმი საკავშირო რეკორდის დამყარება.

მსუბუქ წონაში გაიმარჯვა ლ. კამალოვმა („ლოკომოტივი“) — 357,5 კგ, ხოლო ქვესაშუალო წონაში დაძაბული ბრძოლის შემდეგ — ბურევესტნიკელმა გ. ტაბატაძემ — 365 კგ. საშუალო წონაში ტოლი არ ჰყავდა ო. დემუროვს („განთიადი“) — 410 კგ.

ქვემძიმე წონაში იუნიორთა შორის სსრ კავშირის რეკორდსმენის რ. ტარკილის („განთიადი“) უპირატესობა იმდენად დამჯერებელი იყო, რომ უახლოეს მეტოქეს — დინამოელ ვ. პიგარს მან 60 კგ-ით მოუგო. მოულოდნელი იყო ამ წონაში გამოცდილი ოსტატის გ. მიმინოშვილის („კოლმეურნე“) მარცხი: აჭიმვაში მან სამივე ცდა უნაყოფოდ შეალია 140 კგ-ს.

მძიმე წონაში უდავო ფავორიტი ჯეჯელავა გახლდათ, მაგრამ მან მოულოდნელი ნოლი მიიღო აკვრაში: პირველ ცდაზე ვერ დაძლია 190 კგ, მეორე ცდაც უნაყოფო გამოდგა. იმის მაგიერ, რომ ბოლო ცდაც ამავე წონისთვის მოენდომებინა, რაც სამჭიდში ახალ რესპუბლიკურ რეკორდს იძლეოდა, ჯეჯელავა 200 კგ-ს შეეჭიდა, ვერ დაძლია და საბოლოოდ შეჯიბრებას გამოეთიშა. გაიმარჯვა ლოკომოტიველმა დ. ხიზამბარელმა — 475 კგ.

ზემძიმე წონაში ვ. კაზანჯიანს („განთიადი“) მხოლოდ შტანგასთან მოუჯდა ბრძოლა, ვინაიდან მისმა მეტოქეებმა ჯ. კობალაძემ („დინამო“) და ვ. ხუბულურმა („ბურევესტნიკი“) აჭიმვაში 115 და 100 კგ (შესაბამისად) ვერ დაძლიეს და შეჯიბრებას გამოეთიშნენ. გამარჯვებულის მაჩვენებელია 500 კგ.

გუნდურ შეჯიბრებაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს განთიადელებმა — 7413 ქულა. II ადგილზე გავიდნენ დინამოელები — 5030, III — სპარტაკელები — 4803. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: „კოლმეურნე“ — 4373, „ბურევესტნიკი“ — 3622, „ლოკომოტივი“ — 3255.

ასპარეზობა შესანიშნავად იყო მოწყობილი და თელაველებმაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს შეჯიბრებისადმი.

ა. ცეხანელი.

უკანასკნელი ფოსტიდან

გვიხმობენ ტურისტული გილიკები

ტურიზმი რომ მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟებისა და აქტიური დასვენების შესანიშნავი საშუალებაა, ამაზე არც ერთი ჭკუათმყოფელი არ იდავებს, მაგრამ ყველამ როდი იცის ტურისტული მოგზაურობის სწორად დაგეგმვა, შერჩევა... ტურიზმის ზოგმა მოყვარულმა კი კარგად არ იცის ტურისტული მარშრუტები.

ყოველივე ამაზე შესანიშნავადაა მოთხრობილი გაზეთ „თბილისის“ გუშინდელ ნომერში.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგის, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. ციბაძის წერილი გვაცნობს თბილისის ხუთ საგარეუბნო მარშრუტს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი, ტურისტული სექციის თავმჯდომარე ბ. ეორეოლიანი მოგვითხრობს იმ დაუცხრომელი ენთუზიასტების შესახებ, რომლებიც მრავლად არიან ინსტიტუტის თანამშრომელთა შორის. საელექტრო ფიზკულტურის რესპუბლიკური ტხისანსერის მთავარი ექიმი კ. არობელიძე თავის წერილში ლაპარაკობს იმ კეთილმყოფელ გავლენაზე, რასაც ტურიზმი ადამიანის ჯანმრთელობაზე ახდენს, იმ სავალდებულო ნორმებზე, რომელიც საჭიროა დაიცვას ყოველმა ტურისტმა. წერილის ავტორი ბევრ სასარგებლო რჩევა-დარიგებას იძლევა. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, სპორტის ოსტატი ტურიზმში კ. ასტახიშვილი მკითხველებს აცნობს ტურისტებისთვის პირადი ჰიგიენის ნივთებს, ტანისამოსსა და სხვა აუცილებელი საჭიროების საგნებს. თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი ო. ბობოხიძე მკითხველებს აწვდის თბილისიდან შატილამდე გადაშლილ ბუნების შესანიშნავ სურათებს. გზეთის თანამშრომელი ა. ციცქიშვილი მოგვითხრობს თბილისის ზღვის ღირსშესანიშნაობებზე...

ჩვენ მოკლედ შევეხეთ ამ საინტერესო მასალებს და იმედია, მკითხველთა შორის ბევრს აღეძვრება ტურისტულ მოგზაურობაში წასვლის სურვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1970 ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

„ა" ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

დუგლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 12 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (მოსკოვი)	14	10	2	2	35—12	22
„სპარტაკი" (მოსკოვი)	15	8	3	4	22—17	19
„შახტიორი" (დონეცკი)	14	8	2	4	24—14	18
„ზარი" (ვოროშილოვგრადი)	15	6	6	3	20—12	18
„ზენიტი" (ლენინგრადი)	14	6	5	3	16—12	17
ცსკა	14	5	6	3	21—13	16
„ტორპედო" (მოსკოვი)	15	5	6	4	22—18	16
„არარატი" (ერევანი)	14	5	5	4	16—14	15
„დინამო" (კიევი)	14	6	3	5	20—19	15
ასკ (დონის როსტოვი)	14	4	5	5	26—19	13
„დინამო" (მინსკი)	14	4	5	5	19—24	13
„ნივთჩი" (ბაქო)	15	5	2	8	17—27	12
„ტორპედო" (ქუთაისი)	14	4	3	7	17—22	11
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	14	3	4	7	12—25	10
„დინამო" (თბილისი)	14	3	4	7	12—22	10
„შახთაქორი" (ტაშკენტი)	14	3	4	7	17—30	10
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	14	3	3	8	12—20	9

გათამაშების ცხრილი

„ბ" ჯგუფი

II ზონა, I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 12 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი" (რუსთავი)	13	6	6	1	18—9	18
„ტორპედო" (ეისკი)	13	6	5	2	24—11	17
„აოლხეთი" (ფოთი)	13	3	10	0	17—10	16
„გურია" (ლანჩხუთი)	13	5	5	3	20—8	15
„პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი)	13	4	7	2	17—13	15
„მერცხალი" (შახარაძე)	13	6	3	4	17—15	15
„სპარტაკი" (რიჟანი)	13	6	2	5	20—14	14
„მეშახტე" (ტყიბული)	13	3	8	2	12—10	14
„მეტალურგი" (კრასნი სულინი)	13	5	4	4	11—12	14
„სპარტაკი" (სარანსკი)	13	3	7	3	10—9	13
„ცემენტი" (ნოვოროსიისკი)	13	3	7	3	8—8	13
„ანახეთი" (თელავი)	13	5	2	6	17—21	12
„სულორი" (ვანი)	13	4	4	5	13—21	12
„დინამო" (ხოხუმი)	13	3	4	6	9—13	10
„სპარტაკი" (ტამბოვი)	13	2	6	5	7—12	10
„ორბიტა" (ბელაია კალიტვა)	13	2	5	6	9—15	9
„სპარტაკი" (ცხინვალი)	13	3	3	7	14—22	9
„ალაზანი" (გურჯაანი)	13	3	2	8	10—30	8

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

ეს საბედისწერო მეოთხე ტაიმი

სვერდლოვსკი, 11 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ გაიმართა ჩემპიონატის კალენდარული მატჩი სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევრის ბინადართა მონაწილეობით: ადგილობრივმა „ურალმაშმა" მიიღო თბილისის „ბურევესტნიკი". გუნდების მდგომარეობა საბაბს გვაძლევდა გვეფიქრა, რომ ბრძოლა უაღრესად მძაფრი და დაძაბული იქნებოდა. ასეც მოხდა.

პირველ ტაიმში თბილისელთა თამაშს მეტი მონდომება, აზარტი და, რაც მთავარია, სიმუსუქე ეტყობოდა. ურალელთა კალათს ეფექტურად ბომბავდა ბიჭიაშვილი, ფარქვეშ ნაყოფიერად „საქმიანობდნენ" პულავსკი და ძიძიგური. პარტნიორთა თამაშს ჩვეული ოსტატობით ხელმძღვანელობდა გლურჯიძე. ყოველივე ამან განაპირობა „ბურევესტნიკის" გამარჯვება პირველ ნახევარში — 29:25.

შესვენების შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. თბილისელებს ერთბაშად დაეტყოთ დაღლილობა: მათმა შეტევებმა დაკარგა სიმწვავე, სროლებმა — სიზუსტე, და ინიციატივა მთლიანად „ურალმაშის" მხარეს გადავიდა. აღნიშნული მატჩი ალმა-ათაში „ბურევესტნიკის" ამასწინანდელი გამოსვლის ზუსტი ანალოგია იყო. მან „ლოკომოტივთანაც" მოიგო ტაიმი, მაგრამ შუადგომში მეტოქეს უბრძოლველად ჩაბარა ინიციატივა და, ცხადია, დამარცხდა.

... თბილისელებმა წაავეს შესვედრა ერთ-ერთ მთავარ მეტოქესთან 13 ქულის სხვაობით (54:67). პირველი 20 წუთის მიხედვით ასეთ ფინალს სვერდლოვსკელთა ყველაზე დიდი გულშემატკივრებიც ვერ წარმოიდგენდნენ. ამ მატჩში ბიჭიაშვილმა თავის კოლექტივს 16 ქულა შესძინა, პულავსკიმ — 15, ძიძიგურმა — 9, გლურჯიძემ — 7, ნინიაშვილმა — 4, ჯუღელმა — 2, ჩხიკვაძემ — 1.

ვერცხლის მედლებამდე ერთი ნაბიჯია

ძველი მეტოქეები

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

ლენინგრადი. დღითი-დღე იუმჯობესებს სატურნირო მდგომარეობას ადგილობრივი „სპარტაკი". ახლა იგი ვერცხლის ჯილდოს ყველაზე ნაღდი პრეტენდენტია. გუშინწინ ნევისპირელებმა დამარცხეს რიგის არმიელები — 101:68.

შედეგი, როგორც ამბობენ, კომენტარს არ საჭიროებს.

კაუნასი. საინტერესო და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ძველი მეტოქეების — ადგილობრივი „ქალგირისისა" და მოსკოვის „დინამოს" გუშინდელი ორთაბრძოლა. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 87:75 (44:39).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	ბ.	ქ.
ცსკა	28	25	3	2348—1961	25
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	30	23	7	2286—2007	23
„სტროიტელი" (კიევი)	26	20	6	2074—1861	20
„შალგირისი" (კაუნასი)	29	20	9	2276—2197	20
„დინამო" (მოსკოვი)	29	17	12	2353—2259	17
„ალეევი" (ტარტუ)	28	15	13	2192—2179	15
„დინამო" (თბილისი)	27	14	13	2166—2186	14
ასკ (კიევი)	27	10	17	1937—1977	10
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	30	8	22	2149—2408	8
ასკ (რიგა)	29	7	22	2123—2323	7
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	28	6	22	2063—2339	6
„ლოკომოტივი" (ალმა-ათა)	28	5	23	2049—2308	5

უნივერსიტეტელთა ღუგლი

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა კალათბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. ბოლო დღეს გაიმართა ფინალური მატჩები.

ქალები. უნივერსიტეტი — „უშბა" 59:51 (31:24). ძველი მეტოქეების შესვედრა ტრადიციულად შეუპოვარი გამოდგა, მაგრამ გამარჯვებულის საკითხი ფაქტიურად პირველივე ტაიმში გაირკვა. უშბელებმა შედარებით სუსტად ითამაშეს დაცვაში, რამაც გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი. უნივერსიტეტელთა შორის განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ჭიათურელმა ჭ. ლოლაძემ, რომელმაც გუნდს 25 ქულა შესძინა. ვფიქრობთ, ეს იყო მისი საუკეთესო მატჩი ამ ჩემპიონატში. ლოლაძეს არც დამარცხებულთა ლიდერი თ. საბადაშვილი ჩამორჩა (22 ქულა), მაგრამ მისი თავგანწირვა გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

III ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ სასოფლო-სამეურნეო და ფიზკულტურის ინსტიტუტების კალათბურთელები. ეს მატჩიც საკმაოდ დაძაბული იყო, რასაც პირველი ტაიმის ანგარიშიც (27:27) ადასტურებს. საბოლოოდ გაიმარჯვა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა — 95:49.

კაჭები. უნივერსიტეტი — ქუთაისი 101:72 (50:26). სტუდენტები აშკარად სჯობდნენ მეტოქეებს: გამარჯვებულთა ვინაობა უკვე შესვენებამდე არ იწვეოდა ეჭვს. მეორე ტაიმში უნივერსიტეტის ნაკრებმა უფრო გაზარდა უპირატესობა და მატჩიც ლოგიკურ ფინალამდე მიიყვანა. სტუდენტებმა დაუმარცხებლად ჩაატარეს ტურნირი.

III საპრიზო ადგილი წილად ხვდა „მეტრომშენს", რომელმაც ბოლო დღეს დაამარცხა უკონკურსოდ მონაწილე თბილისის ახალგაზრდული ნაკრები — 67:65 (38:28).

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: ქალები. 1. უნივერსიტეტი, 2. „უშბა", 3. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 4. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 5. აფხაზეთი, 6. სამტრედია, 7. რუსთავი; კაჭები. 1. უნივერსიტეტი, 2. ქუთაისი, 3 „მეტრომშენი", 4. სამედიცინო ინსტიტუტი, 5. აფხაზეთი, 6. აჭარა, 7. რუსთავი.

ჩემპიონატის მსვლელობაში უსიამოვნო ფაქტი მოხდა. უნივერსიტეტისა და აფხაზეთის ქალთა გუნდების მატჩის მერრე დღეს ცნობილი გახდა, რომ სტუდენტთა გუნდმა ტურნირის პირველ-ორ მატჩში ათის ნაცვლად 11 კალათბურთელი ათამაშა. სამწუხაროდ, მსაჯთა კოლეგიამ ვერაფრით ვერ შეძლო ამ ფაქტის დადგენა, ვინაიდან შესვედრის მდივანი ნ. დავითაშვილი უგზო-უკვლოდ გაქრა და მისი ნახვა ვერაფრით ვერ მოხერხდა.

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე.

როსინანტებზე ამხედრებულნი

ამ ბოლო ხანს საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდელებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. ეს სასიხარულო ფაქტი მწვრთნელებისა და სპორტსმენების შეთანხმებულ, თავდადებულ შრომაზე მეთვითებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მასშტაბის რესპუბლიკურ შეჯიბრებში მხოლოდ თბილისელები ასპარეზობენ. ამის შესახებ ბევრჯერ დაიწერა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ ამ ხარვეზის აღმოფხვრას არაფერი ეშველა.

ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება გახლდათ ჭაბუკ და იუნიორ ხუთჭიდელთა ახლახან დამთავრებული რესპუბლიკური ჩემპიონატი. ამ შეჯიბრებას მასობრივობის მხრივ ვერ დავემდურებით, რადგან სარბიელზე 30 სპორტსმენი გამოვიდა, მაგრამ მონაწილეთა შორის ისევ მხოლოდ დედაქალაქის წარმომადგენლები იყვნენ.

ჩემპიონობისთვის ორივე ასაკის ხუთჭიდელები იბრძოდნენ, შედეგები კი, გარდა ფარიკაობისა, პირად ჩათვლაში ცალ-ცალკე ჯამდებოდა. ამ ჩემპიონატში მკვეთრად გამოჩნდა ახალგაზრდა ხუთჭიდელთა ნამდვილი სახე: ისინი ხომ მოზრდილების გარეშე ასპარეზობდნენ და, მმდენად, შეეძლოთ თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად ეჩვენებინათ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბრძოლა ყველა სახეობაში მეტად საინტერესო და დაძაბული გამოდგა. აქვე გვინდა შევნიშნოთ: ჩვენი ხუთჭიდელების სუსტი ადგილი მუდამ იყო ცურვა. ახლა კი, საბედნიეროდ, ეს საერთო ნაკლი გამოსწორდა და ახალგაზრდა სპორტსმენები სწორედ ცურვაში გამოდიან წარმატებით. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან მათი უმრავლესობა ადრე სწორედ მოცურავე იყო.

ობიექტურობას მოკლებულნი ვიქნებოდით, ახალგაზრდა სპორტსმენების მომზადების დონე ხუთიოვე სახეობის მიხედვით რომ შეგვეფასებინა. აზრი მათს შესახებ, რა თქმა უნდა, ცხენოსნობის გარეშე უნდა შეექმნათ. უკვე არავისთვის აღარაა საეჭვო, რომ ამ სახეობაში ყველაფერი სპორტსმენის მომზადებაზე როდია დამოკიდებული, არის შემთხვევები, როცა კენჭისყრა ჯაგლაგ ცხენს შეგახვედრებს და დიდი ხნის თავგამოდებულ ვარჯიშს წყალში გადაგიყრის. მართლაც, ნორმალური ცხენების გამოყვანა თანამედროვე ხუთჭიდელთა შეჯიბრებებში ვერა და ვერ მოხერხდა. ამ მიზეზის გამო იყო, რომ რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ხუთჭიდელი, ბურევესტნიკელი ნ. ახალშენიშვილი შეჯიბრების ოთხი სახეობის შემდეგ ლიდერობდა და მერე V ადგილზე ადმოჩნდა. ცხენოსნობაში შეჯიბრებამდე ახალშენიშვილი რამდენიმე ათეული ქულით უსწრებდა უახლოეს მეტოქეს, სპარტაკელ ა. ჯავახიშვილს, მაგრამ ამ უკანასკნელს კარგად გაწვრთნილი ბედაური ხვდა წილად და არა მარტო ამ სახეობაში გაიმარჯვა, არამედ ახალშენიშვილის გარდა კიდევ ოთხ სპორტსმენსაც გაუსწრო, საბოლოო ჩათვლაში 4799 ქულით გამარჯვებაც ჯავახიშვილს დარჩა.

ჯავახიშვილი მშარდი სპორტსმენია და შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე ამაღლებს ოსტატობას, ამასთან, სხვებთან შედარებით იგი ცხენოსნობაშიც უკეთაა მომზადებული (ცხენოსანთა პირველობებშიც გამოდის). ჯავახიშვილს 53 ქულით ჩამორჩა დინამოელი ვ. გოეთე. ამ უკანასკნელის თანაგუნდელი ვ. ლიდნიოვი კი მესამე იყო — 4488.

უძლიერესი ჭაბუკებშიც სპარტაკელი სპორტსმენი გ. მელაძე გამოდგა, რომელმაც ხუთივე სახეობაში 4926 ქულა მოაგროვა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივიც შეასრულა. მეორე იყო მისი თანაგუნდელი ი. კირილოვი — 4479, მესამე — დინამოელი ი. კონოვალოვი — 4445.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. „დინამო" — 18314 ქულა, 2. „სპარტაკი" — 17716, 3. „ბურევესტნიკი" — 13291.

თ. გაჩეჩილაძე.



მოგვყავს პირველი სამეულის ტექნიკური შედეგები სახეობათა მიხედვით:

ფარიკაობა. 1. ლ. ბაიდენკო („დინამო") — 1087 ქულა, 2. კირილოვი — 1058, 3-4. გ. მელაძე (ორივე — „სპარტაკი"), 6. ახალშენიშვილი („ბურევესტნიკი") — 1000-1000.

სროლა. ჭაბუკები. 1. მელაძე — 978, 2. კირილოვი — 758, 3. ბაიდენკო — 604; იუნიორები. 1. ჯავახიშვილი — 934, 2. გოეთე—868, 3. ახალშენიშვილი — 670.

ცურვა. ჭაბუკები. 1. ი. ბოროდინი („დინამო") — 1000 (3.57,3), 2. მელაძე — 964 (3.58,5), 3. ი. საპრიკინი („სპარტაკი") — 912 (4.05,3); იუნიორები. 1. ახალშენიშვილი — 996 (3.54,8), 2. გოეთე — 872 (4.10,1), 3. ლიდნიოვი — 852 (4.11,8).

პროსი. ჭაბუკები. 1. ზ. ბარიანი („ბურევესტნიკი") — 1144 (9.54,0), 2. ბოროდინი — 1124 (9.59,0), 3. მელაძე—1104 (10.04,0); იუნიორები. 1. ჯავახიშვილი — 1168 (9.48,0), 2. ახალშენიშვილი — 1128 (9.58,0), 3. ლიდნიოვი — 1072 (10.12,0).

ცხენოსნობა. ჭაბუკები. 1. კონოვალოვი — 1065, 2. ბაიდენკო—970, 3. მელაძე — 880; იუნიორები. 1. ჯავახიშვილი — 1075, 2. ლიდნიოვი — 1015, 3. გოეთე — 970.

* * *

სურათზე: გ. მელაძე (მარცხნივ) და ა. ჯავახიშვილი წარმატებას ულოცავენ ერთმანეთს.

ავტორის ფოტო.

ახალგაზრდა სპორტსმენი

ცხინვალი

ნორჩ ფეხბურთელთა საოლქო პირველობა „ტყავის ბურთის" პრიზზე უმცროსი ასაკის ბავშვთა გუნდებს შორის ცხინვალელთა გამარჯვებით დამთავრდა. უფროს ასაკში I ადგილი დაიკავეს ლენინგორელებმა.

ვ. მელაძე.



ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის შემდეგ მექსიკის IX მსოფლიო ჩემპიონატში ყველაზე ძლიერი, ჩემი აზრით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები იყო. გერმანელებმა, ფაქტიურად, თითქმის ორი ჩემპიონატი ჩაატარეს: ორი 120-წუთიანი უმძიმესი შეხვედრა გადაიტანეს (ინგლისელებთან და იტალიელებთან). ეს იყო უაღრესად მაღალტექნიკური, საოცარი შრომისუნარიანობით აღჭურვილი, შესაშური მიზანსწრაფვის ფეხბურთელთა დიდებული ანსამბლი, რომლის ყოველ ტაქტიკურ სვლასა თუ ლამაზ ტექნიკურ ილეთს აღტაცებაში მოჰყავდა მრავალრიცხოვანი მაყურებელი.

გუნდის ვეტერანები შულცი და ზეელერი არაფრით ჩამოუვარდებოდნენ თავიანთ ახალგაზრდა პარტნიორებს და პირდაპირ განსაცვიფრებელი ენერგიულობით იბრძოდნენ თამაშის ბოლომდე. გერმანელთა დაუცხრომელი მონდომების, შეუპოვრობის, ვაჟკაცობისა და დისციპლინის ბრწყინვალე მაგალითი გახლდათ მათი მატჩი ინგლისის ნაკრებთან. ალბათ დამერწმუნებით, რომ ყოველი სხვა გუნდი ქვეშეცნეულად მაინც დაკრიდა ფარ-ხმალს ისეთი „ფორის“ შემდეგ, როგორიცაა 0:2. მაგრამ აი, სწორედ აქ გამოჩნდა გფრ-ის ნაკრების საოცარი მონოლითურობა და სიმშვიდე, მიზანსწრაფვა და მრავალფეროვანი ტაქტიკა. ისიც უნდა ითქვას, რომ გერმანელები თავიდანვე ფლობდნენ ხელთ მატჩის სადავეებს და ის ორი ბურთი არ იყო თამაშის მსვლელობის ლოგიკიდან გამომდინარე.

და მაინც, ამ შესანიშნავი ანსამბლიდან, რომლის რიგებიც აერთიანებს ისეთ ვარსკვლავებს, როგორიც არიან ბეკენბაუერი, შნელინგერი, ზეელერი, გრაბოვსკი, მსურს გამოვყო გუნდის თითქმის ყველა ოპერაციის სულისჩამდგმელი — ნახევარმცველი ოვერატი. პელეს შემდეგ იგი, ჩემი აზრით, ჩემპიონატის უძლიერესი ფეხბურთელი იყო.

მეტოქეთა კარის რისხვად მოგვევლინა ცენტრალური თავდამსხმელი მიულერი, რომელიც 10 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

მ. კაკაბაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

მექსიკო — თბილისი

* * *



სურათებზე: ზევით — ინგლისელებთან გამარჯვების შემდეგ მინდორზე გადასულმა მაყურებლებმა ხელში აიტაცეს შულცი და ზეელერი; ქვევით — იტალიის ნაკრებთან 90-წუთიანი ბრძოლის შემდეგ დამატებითი ტაიმის წინ შნელინგერს ძალიან სცხელა. სულ რამდენიმე წუთის წინ მან მეტოქის კარში მარცხენა ფლანგიდან ოვერატის შესანიშნავი გადაცემის წყალობით ბრწყინვალე გოლი გაიტანა და ინგლრიში გაათანაბრა — 1:1.

ბრაზილიელები დამმარცხეს სტატისტიკა

სტატისტიკური მონაცემებით, ბრაზილიელი ფეხბურთელები უნდა დამარცხებულიყვნენ ფინალში იტალიის ნაკრებთან.

ბრაზილიელთა მხარეზე მხოლოდ ერთი არგუმენტი იყო: ამერიკის კონტინენტზე გამართულ ჩემპიონატებში ყოველთვის სამხრეთ ამერიკის გუნდები იმარჯვებდნენ. იტალიელთა სასარგებლოდ კი მეტყველებდნენ შემდეგი მონაცემები: 1. პირველ ყოვლისა დადებითი ბალანსი თვით ბრაზილიელებთან შეხვედრებში; 2. იტალიელებს ყოველთვის უჭირდათ მეოთხედფინალში გამოსვლა. მათ ორჯერ მოახერხეს წინა ჩემპიონატებში ამის გაკეთება და ორივეჯერ მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ; 3. არც ერთხელ მსოფლიო ჩემპიონი არ გამხდარა ის გუნდი, რომელიც ჯგუფში 6, ანუ მაქსიმალურად შესაძლებელ ქულათა რაოდენობას აგროვებდა, 4. გუნდი, რომელსაც ფინალურ მატჩში პირველი გოლი გააქვს, უპირველეს შემთხვევაში საბოლოოდ მარცხდება.

ასე იყო ბოლო ხუთ ფინალში, ხოლო 1954 წელს უნგრელები 2 ბურთითაც კი იყვნენ წინ და მაინც დამარცხდნენ.

მაგრამ თამაშის ბედს წყვეტენ არა ციფრები, ისტორია თუ ათასგვარი დამთხვევები, არამედ კლასი და ოსტატობა, რაც თვალნათლივ დაადასტურეს ბრაზილიელებმა.

ფინალურ მატჩში პელეს მიერ გატანილი გოლი ბრაზილიელთათვის მე-100 იყო მსოფლიოს ჩემპიონატების მანძილზე და მე-10 — ფინალურ მატჩებში.

გ. მადუაშვილი.

იკაროსი სახელოვანი თაოგა

13 ივლისს ინგლისის ქალაქ ბრისტოლის მახლობლად დაიწყება მორიგი, რიგით მეექვსე მსოფლიო ჩემპიონატი სათვითმფრინავო სპორტში.

ფრენის რომანტიკა უძველესი დროიდან იტაცებდა ადამიანის გონებას. პაერში ჩიტივით ფარფატზე თითქმის ყველა ბავშვი ოცნებობს. ჯერ კიდევ ძველ ბერძნებს ჰქონდათ ლეგენდა იკაროსზე, პირველ მფრინავზე... ახლა ამ ოცნების განხორციელება სულ ადვილია.

სათვითმფრინავო სპორტი — უმაღლესი პილოტაჟი — ჩვენში საბჭოთა ავიაციის განთიადზე ჩაისახა. ორმოცი წლის წინ ნიჭიერმა კონსტრუქტორებმა იაკოვლევმა, პოლიკარპოვმა, ილიუშინმა პირველი სპორტული თვითმფრინავები შექმნეს. ამ მანქანებზე სვეწდნენ ოსტატობას ისეთი შამაცი მფრინავები, როგორიც იყვნენ გრომოვი, ჩკალოვი, კოქედუბი, პოკრიშკინი.

სსრ კავშირის I ჩემპიონატი სათვითმფრინავო სპორტში 20 წლის წინ ჩატარდა. 1960 წლიდან კი ორ წელიწადში ერთხელ ტარდება მსოფლიო ჩემპიონატები, რომლებშიც საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობენ.

... ივნისის კამკაშა დღეა. მოსკოვში, ტუშინოს აეროდრომის თავზე, კამკამა ლაჟვარდში პატარა, მოხდენილი „იაკ-18 პმ“ თავბრუდამხვევი ფიგურების კასკადს ასრულებს. აი, ელეგანტური თეთრ-წითელი ჩიტი ვერტიკალურად ზევით აიჭრა. არა, მას არ ეშუქრება ბედი, იკაროსისა, რომელიც სანთლის ფრთებს დაუხდო და დაიღუპა.

... პატარა „იაკი“ გულაღმა გადამრუნდა და ზერე ტრიალით დაეშვა მიწისკენ. მანქანა თანდათან მოახლოვდა და, როცა ის იყო მიწის ზედაპირს უნდა შეხებოდა, კვლავ პაერში აიჭრა. ცაში „ბოლთიჟირებას“ ახდენდა ნაკრების ვეტერანი, 30 წლის ნოვოსიბირსკელი მფრინავი-ინსტრუქტორი, მოსკოვის IV მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ა. პიმენოვი. მერე სარბიულზე გამოვიდნენ კემეროვოელი ტაქსის მძღოლის ვ. პონომარიოვის. საბჭოთა ნაკრების კაპიტნის, ჯიბიშველი ი. ეფოროვის თვითმფრინავები... ტარდებოდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მორიგი საწვრთნელი მეცადინეობა.

საბჭოთა მფრინავები — „საპაერო ბოლთიჟირების“ ოსტატები — უკვე აღარ არიან ახალგაზრდები მსოფლიო სათვითმფრინავო სპორტში. ბილობოს (ესპანეთი) III და, განსაკუთრებით, მოსკოვის IV (1966 წ.) მსოფლიო ჩემპიონატებში წარმატებით გამოსვლის შემდეგ, სადაც სსრ კავშირის ნაკრების წევრებმა ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ყველა მედალი დაისაკუთრეს, უკვე საქვეყნოდ დაიწყეს ლაპარაკი უმაღლესი პილოტაჟის საბჭოთა სკოლაზე, რომლის დევიზიც ასეთია: „მაღალი ტემპი და ელეგანტურობა, სიზუსტე ფიგურების შესრულებაში“.

უმაღლესი პილოტაჟი მამაცთა, ძლიერთა, გამოცდილთა სპორტია. ფრენის 6-10 წუთის განმავლობაში მფრინავმა-სპორტსმენმა 30-მდე ფიგურა უნდა შეასრულოს და მათგან 15-ზე მეტი — გულაღმა ფრენისას.

სსრ კავშირის ამჟამინდელი ნაკრების კანდიდატთა შორის ბევრი ახალგაზდაა. ესენი არიან: კრასნოიარსკელი ინჟინერი ე. კაინოვი, დონეცკელი სამთო ტექნიკოსი ვ. სამოილოვი, მინსკელი მფრინავი-ინსტრუქტორი ვ. ხატკოვსკი. ქალთა ნაკრები მაგდებურგის (გდრ) 1968 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მთლიანად განახლებულია. ცნობილმა მფრინავმა ტ. პერესეკინამ, გ. კორჩუგანოვამ, ტ. სოლოვიოვამ სამოქალაქო ავიაციაში დაიწყეს სამსახური, მათი ადგილი კი ახალგაზრდობამ დაიკავა. ბრისტოლის საგზურებზე პრეტენზიას აცხადებენ ტუალელი მფრინავი-ინსტრუქტორი ლ. ლეონოვა, მოსკოველი ინსტრუქტორი ზ. ლიზუნოვა, კალუგელი სტუდენტი ლ. მოროზოვა, ვოროშილოვგრადელი ტექნიკოსი ლ. მოჩალინა, კუიბიშეველი ინჟინერი ს. პოდოლიაკი, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტი ს. სავიცკაია.

რა შედეგს მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამაში? ესაა საჯალდებულო, როგორც თვით მფრინავები ამბობენ, „ბნელი“ კომპლექსი (ვარჯიშები წინასწარ არ ცხადდება) და ნებისმიერი პროგრამა. სსრ კავშირის საავიაციო სპორტის ფედერაციის წინადადებით, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედლები გათამაშდება არა მარტო მრავალჭიდში, არამედ ცალ-ცალკე ყოველ ვარჯიშიც.

მაგდებურგის მსოფლიო ჩემპიონატში ცუდი ამინდის გამო პირველობის პროგრამა მთლიანად არ შესრულებულა. მაგრამ გუნდური ადგილები მაინც განაწილდა: გდრ, სსრ კავშირი, აშშ.

... რა შედეგებით დამთავრდება წლევანდელი ასპარეზობა?

ვ. პიმენოვი.

(საკდესის კორ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე

თბილისის სპორტულ ბუნებაზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. დღეს. ასკ-ს სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი). დასაწყისი 18 ს. „სინათლის“ სტადიონი. „სინათლე“ (თბილისი) — „მზიური“ (გალი). დასაწყისი 18 ს.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

სსრ კავშირის პირველობა



13 ივლისი

„დინამო“ (თბილისი)—„ჩერნომორეცი“ (ოდესა).

დასაწყისი 20 ს.

მატჩი მოიგეს მორგენლებმა

პარიზი, 10 ივლისი. ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსან ვაჟთა ნაკრებმა საფრანგეთის დედაქალაქის „კოლომბის“ სტადიონზე ორდღიანი მატჩი მოუგო მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ გუნდს — 117:94. პირველი დღის წარუმატებლობის (50:56) შემდეგ სტუმრებმა უმთავრესად მორბენალთა ბრწყინვალე ასპარეზობის წყალობით მეორე დღეს გარდატეხა შეიტანეს მატჩის მსვლელობაში.

მასპინძელთა შორის ჯერ კიდევ გამოიჩინა თავი პირველი დღის გმირმა ჟ.-ჟ. ნალემ, რომელმაც საფრანგეთის ახალი რეკორდით (45,4) გაიმარჯვა 400 მ. ეს იყო ამ შეჯიბრებაში ნაჩვენები მესამე ეროვნული მიღწევა. მაგრამ 23 წლის ფრანგზე წინ ფინიშთან იყვნენ სტუმრები უ. კოლეტი (44,9 — მსოფლიოში წლეულს საუკეთესო შედეგი) და ჯ. სმითი (45,0).

200-მეტრიან დისტანციაზე რბენაში ყველას აჯობა ამერიკელმა ვ. ტერნერმა (20,6), მასპინძელთაგან საუკეთესო — ჟ. ფენუი კი მესამე იყო (20,8).

ფრანგებმა უიმედოდ წააგეს 110 მეტრზე თარჯრბენი, 1500 მეტრზე რბენა და, ბოლოს — მოულოდნელად — 10 კილომეტრზე გარბენიც, სადაც უძლიერესი აღმოჩნდა ამერიკელი კ. მური — 28.47,5 (მეორე იყო ფრანგი ნ. ტიეუ — 28.49,4).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „კოლომბის“ ტარტანის ბილიკები ძალიან „სწრაფი“ აღმოჩნდა, რამაც სტუმართაგან ერთ-ერთს საშუალება მისცა 400 მეტრზე რბენაში საუკეთესო შედეგი ეჩვენებინა ბოლო წლებში ევროპის სტადიონებზე, რომელიც კონტინენტის რეკორდის ტოლია.

მასპინძლები სუსტად გამოვიდნენ ხტომებსა და ტყორცნებში. მატჩის მეორე დღეს მათ მხოლოდ ერთხელ იზეიმეს წარმატება: სამხტომში I ადგილი დაიკავა ს. ფირსმა (16,32 მ), ხოლო II — ჟ. პრივემ (16,29 მ).

აი, მეორე დღის ასპარეზობის დასასრული შედეგები (გამარჯვებული და მეორე გუნდის საუკეთესო წარმომადგენელი): 1500 მ. ჰ. მაიკლი (აშშ) — 3.44,3, ... III. ჟ.-ჟ. დიუფრენი — 3.45,4; 110 მ თარჯრბენი. ტ. ჰილი (აშშ) — 13,3 (ზურგქარი — 3.5 მ წამში), ... III. გ. დრუ — 13,5; 4×400 მ ეტაფეტა. აშშ (ნილსი, სმითი. ნიუჰაუსი, კოლეტი) — 3.04,1, საფრანგეთი (ბერტოლდი, ნიკოლა, კარეტი, ნალე) — 3.08,5; სიმაღლე. ბ. შეპარდი (აშშ) — 212 სმ, ... III. რ. სენტ-როზი — 208 სმ; ურო. ჯ. ფრენი (აშშ) — 65,52 მ, II. ჟ. აკამბრაი — 64,28 მ; შუბი. რ. კოლინსი (აშშ) — 79,38 მ, ... III. მ. ბუტე — 72,92 მ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 7 უე 08228.